

**გაჩვენოს ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალური ოფისის მიერ**

დღეს მოსლოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მაღალ მთაში - თოვლი, ცვალებადი მიმართულების ქარი - 12-17 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 10-15, შიდა-მთიან რაიონებში - 6-11, მაღალ მთაში - 2-7 გრადუსი სიბოლო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსლოდნელია უნაღველო ამინდი.

**კრიკოსი N 101**

კიდევ ერთხელ მინდა ჩემი სოლიდარობა გამოვხატო უკრაინის და უკრაინელი ხალხის მიმართ, მოვუწოდებ საერთაშორისო თანამეგობრობას, ყველაფერი გააკეთონ უკრაინაში საომარი მოქმედებების შესაჩერებლად, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა უკრაინის ტელევიზორ-ტელევიზორთან ბრძოლებში დაღუპულ გმირთა მემორიალის შექმნის შემდეგ განუცხადა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, სუვერენულ სახელმწიფოზე თავდასხმა და სამხედრო მოქმედებები აბსოლუტურად მიუღებელია და საერთაშორისო სამართლის პრინციპებს ეწინააღმდეგება. პრემიერმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება თავისი შესაძლებლობების ფარგლებში ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ უკრაინის პოლიტიკური და ჰუმანიტარული მხარდაჭერა აღმოუჩინოს.

რიგგარეშე სხდომა ვერ ჩატარდება და ასევე, დღეს სხდომის გახსნის პროცედურებიც არ გაიმართება, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ გამართულ ბრიფინგზე. როგორც შალვა პაპუაშვილმა აღნიშნა, მას საპარლამენტო უმრავლესობამ წერილობით მიმართა და უმრავლესობის 82 დეპუტატიდან სხდომას არცერთი არ დაესწრა. ცნობისათვის, საქართველოს საპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა პრემიერს, მათ მიერ წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგით, 25 თებერვალს პარლამენტის რიგგარეშე სხდომის მოწვევა სთხოვა. ყველას ექნება შესაძლებლობა, პარლამენტის მორიგი სხდომის ფორმატში გამოხატოს საკუთარი მოსაზრება, - დასძინა პაპუაშვილმა.

რუსეთმა ერთი საუკუნის წინ საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. დღეს ის უკრაინის ოკუპაციას ახდენს. საერთაშორისო თანამეგობრობამ რუსეთი უნდა აიძულოს, დაიხიოს უკან და უკრაინის ოკუპაციაზე თქვას უარი, - განაცხადა უმრავლესობის დეპუტატმა რატი იონათამიშვილმა. მისივე თქმით, „რუსეთი უკრაინას ებრძვის ტანკებით, ხოლო საქართველოს - „ნაციონალური მოძრაობით“. ოპოზიციამ უკრაინის საკითხზე არც პარლამენტის რეზოლუციას დაუჭირა მხარი და არც ევრონესტის ბიუროს მიერ უკრაინის მხარდაჭერის განცხადების მიღებაში მიიღო მონაწილეობა“.

„საქართველოს პრემიერის დღევანდელი განცხადებები და მისი პათოსი არ გამოხატავს ჩემს პოზიციას, - დაწერა სოციალურ ქსელში სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ. როგორც ცნობილია, პრემიერ-მინისტრმა გუშინ განაცხადა, რომ „საქართველო არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს რუსეთის მიმართ სანქციებში“, ვინაიდან ეს დაზარალებს ქვეყანას.

მომზადდა ია შველიძემ

## ხელვაჩაურის საკრებულოს სხდომა ხმაურიანად ჩატარდა

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 25 თებერვლის სხდომა დაპირისპირებისა და ხმაურის ფონზე ჩატარდა. ხელვაჩაურის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მალხაზ თავდგირიძემ სხდომის დასაწყისშივე განაცხადა, რომ მთავარი განსახილველი თემა მხოლოდ უკრაინის ომი უნდა ყოფილიყო.



პანტად მოხსენიებული. ეს ყველაფერი კი, რა თქმა უნდა, ბიძინა ივანიშვილის დავალებაა. რვა წლის განმავლობაში ივანიშვილი გამოდის და ქართველ ხალხს, მსოფლიოსთან ერთად, არწმუნებს, რომ თურმე საქართველო მძინარე ცხინვალს დაესხა თავს და რომ ომი დაიწყო ჩვენ. არც ერთი ქართველი არ დასხმია თავს არც რუსეთის ფედერაციას და არც ცხინვალის მოსახლეობას. მოვიწოდებთ ყველას, დღევანდელ სხდომაზე ვიმჯგულოთ უკრაინის რეზოლუციაზე, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, - განაცხადა მალხაზ თავდგირიძემ.



„ერთიანი ნაციონალურმა მოძრაობამ“ საკრებულოში შეიტანა განცხადება უკრაინის რეზოლუციის შესახებ, რის მიღებასაც საკრებულოს სხდომაზე ითხოვდნენ, თუმცა პროცედურული ნაწილის გამო, საკითხის დღის წესრიგში შეტანა ვერ მოხერხდა, რასაც დაპირისპირება მოჰყვა ოპოზიციისა და მმართველი გუნდის წევრებს შორის.

„უკრაინის საკითხთან დაკავშირებით, ჩვენმა გუნდმა, ასევე საქართველოს პარლამენტმა, მიიღო რეზოლუცია, რომლის მიღებაშიც ოპოზიციამ არ მიიღო მონაწილეობა, სამწუხაროდ, რაც შეეხება დღევანდელ საკითხს, რომელიც ოპოზიციამ შემოიტანა სხდომაზე, ის ექვემდებარება განხილვას, რადგან პირდაპირ ვერ მივიღებთ მას, ეს პროცედურული ნაწილია. სხვა საკითხებს რაც შეეხება, იყო წარ-

მოდგენილი ექვსი საკითხი, რომელსაც საკრებულომ მხარი დაუჭირა, - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ხელვაჩაურის საკრებულოს თავმჯდომარე თენგიზ ირემაძემ.

დადაბუღების შემდეგ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა განახლდა და წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული ექვსი საკითხი განიხილეს. მთვან ოთხი დადგენილების და ორი განკარგულების პროექტი იყო. კერძოდ, სხდომაზე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელმა თეიმურაზ გაწერელიამ წარმოადგინა მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოწესრიგისა და მოვლა-პატრონობის ზოგადი წესის დამტკიცების შესახებ, ასევე, „ხელვაჩაურის წყალკანალის“ სახელის შეცვლის თაობაზე პროექტები.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების ხელმძღვანელმა ანა ბაუაშვილმა საკრებულოს წევრებს მიმართა თანხმობის თაობაზე, რომელიც ქალაქ ბათუმში, მახვილაურის დასახლებაში მიწის ნაკვეთის სერვიტუტით დატვირთვას გულისხმობდა.

**«ქოლუბის გარდახვევას იყენებენ, მისი შვილით აპელირებენ პოლიტიკური ქოლუბის დასაწინააღმდეგებლად»** 3

**რა ინვესტორი გეგმიური სვლილებას და როგორია პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები?** 4

**«თუ გვსურს, თავი დავანდოთ სტატიკურ მდგომარეობას, უნდა დავაჩქაროთ დასავლეთთან ინტეგრაციის პროცესი»** 5

**უფალს შევთხოვ, მალე დადგას მშვიდობა...** 7

**გამოინერეთ გაზეთი «აჭარა»!**

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულყოფილად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს. გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 577 20 43 55.





# პაცივი მიაბას საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლებს

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

25 თებერვალი საბჭოთა ოკუპაციის დღეა. საქართველოს გასაბჭოებიდან 101 წელი გავიდა. ბათუმში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა სკვერში იმყოფებოდნენ, სადაც წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გმირულად დაღუპულ ქართველი მამულიშვილების ხსენას და მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

25 თებერვალი საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული, უძიმესი თარიღია. ამ დღეს საქართველოში საბჭოთა რუსეთი შემოიჭრა. ქართველების უდიდესი თავგანწირვის მიუხედავად, 1921 წელს საქართველოს პირველმა დემოკრატიულმა რესპუბლიკამ არსებობა შეწყვიტა. პატივს მივაგებ ყველა იმ ადამიანის ხსენას, ვინც ოკუპაციასთან ბრძოლას და ქვეყნის თავისუფალ მომავალს სიცოცხლე შესწირა. სამწუხაროდ, დღეს კიდევ გვაქვს ოკუპირებული ტერიტორიები, ასიათასობით ადამიანი კვლავ საკუთარ მიწა-წყალს არის მოწყვეტილი. მჯერა, რომ



პუცილებლად დადგება საქართველოს სრული დემოკრატიის დღე და ჩვენ დაეუბრუნდება ბოთ ვეროპულ ოჯახს, - განაცხადა ბათუმის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

# საკროტისტო აქცია - სალიზაურში

ნათია შუბაბაძე 27 48 93

ხელგაწაურის მუნიციპალიტეტის სოფელ სალიზაურის ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა შეიკრიბა, რომ შესაბამის კომპანიას და ხელისუფლებას მიაწვდინოს ხმა. ისედაც უამრავი ყოფილი პრობლემის მქონე მოსახლეობას დაემატა ისიც, რომ ავტობანის მშენებლობის გამო საჭირო სამუშაოების ჩატარების მიზნით, მეურნეობის ტერიტორიაზე, სადაც უნდა შევიდეს მძიმე ტექნიკა და შესაბამისი სამუშაოები ჩატარდეს, უკვე პირველადი სამუშაოების შედეგად მნიშვნელოვნად დაზარადა და არაერთ იცის, მომავალში კვლავ რა ზიანი მიაღებებათ. გზის გაყვანის გამო განადგურდა მოსახლეობის შემოსავლის წყარო - სახნავ-სათესი საკარმიდამო მიწის ნაკვეთები, უკვე დაზიანებულია წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურა და მოსახლეობა შიშობს, რომ შესაძლებელია, დასახლება უახლოეს პერიოდში წყლის გარეშე დარჩეს. წლების განმავლობაში, არაერთი დაპირების მიუხედავად, ხელისუფლებამ დღემდე არ გაუფორმა სარგებლობაში არსე-



ბული მიწის ნაკვეთები, რითაც სარგებლობს კომპანია „ფოლადი“ და მოსახლეობას მიყენებული ზარალის სანაცვლოდ ერთჯერად

500-ლარიან დახმარებას სთავაზობს, რასაც ადგილობრივები დაცინვად და ღირსების შელახვად აღიქვამენ. მოსახლეობის წარმომადგენლები უკვე რამდენი დღეა ტერიტორიაზე არ უშვებენ და აცხადებენ, რომ არც მომავალში უშვებენ სამშენებლო პროცესის განხორციელებისთვის კომპანიის მესვეურებს. ისინი ხელისუფლებას მათი უფლებების დაცვისკენ მოუწოდებენ.

ადგილზე უფლებადამცველი თამაზ ბაკურიძე იმყოფებოდა, რომელიც ამბობს, რომ სალიზაურში მცხოვრებლებისთვის შეთავაზებული კომპენსაციის რაოდენობა მოქალაქეების დაცინვას ნიშნავს და იმ შემთხვევაში, თუ მმართველი გუნდი დროულ რეაგირებას არ მოახდენს, მასშტაბურ აქციას აანონსებენ.

მე ვიზიარებ მოსახლეობის სამართლიან მოთხოვნებს - ისედაც ბევრი პრობლემა აწუხებს ამ დასახლებას, როგორცაა ელექტროენერჯის, გაზის, გზის და ამას დაემატა ისიც, რომ მოვიდა კომპანია, რომელმაც გაანადგურა ადგილობრივთა საარსებო წყარო - საკარმიდამო ნაკვეთები, სანაცვლოდ კი ერთჯერადად 500 ლარს სთავაზობს, - გვითხრა უფლებადამცველმა თამაზ ბაკურიძემ.



# სოფლებში ისევ ბევრი საქმეა

თამაზ მბზაზრიძე 27 48 94

თებერვალი მიიწურა, მაგრამ აჭარის მთიანეთში თოვლი ისევ ზეავრიელად დევს. თოვლნობა, წვიმა, თოვლჭყაპი მეწურულ პროცესებსაც უწყობს ხელს. გზაზე ხშირად ჩამოდის ზვავები. ერთი დღით ტრანსპორტის გადაადგილება შეზღუდული იყო ჭვანა-ბარათაულის საავტომობილო გზაზე ცენტრ-რაიების უბანში მეწურის ჩამოწოლის გამო.

ტრანსპორტი ვერ გადაადგილდებოდა ბარათაული-გომარდულის გზაზეც. ახლა აქ მექანიზატორი მურმან ტარიელაძე მოძველებული მარკის ტრაქტორით სამუშაოებს ასრულებს.

კურორტ გომარდულში ტრანსპორტი წანკალაურზე გამოვლით მოძრაობს. როცა თოვლი გაყინული იყო, მსუბუქი ავტომანქანების მოძრაობა ბარათაულზე გავლითაც შეუძლებელი იყო. თოვლი გადაინოხა დაიწყო და ჩვენც ტექნიკა მივაშველეთ. ახლა



კურორტზე მიმოსვლა ბარათაულზე გავლით შესაძლებელია, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა ბარათაულის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯუმბერ ქათამაძემ.

## საქართველოს თავდასვის სამინისტროს ბანსხალბა



„ცალკეული პირების მიერ სოციალურ მედიაში ვრცელდება დეზინფორმაციები, სადაც მისი შინაარსის გასამყარებლად იყენებენ თავდაცვის ძალების ერთი ერთეული სამხედრო ტექნიკის ფოტოებს და ვიდეოს, რომელზეც ის გარემონტების შემდეგ გადააქვთ სამხედრო ბაზაზე. მოგუწოდებთ ცალკეულ მედიასაშუალებებს და სოციალურ მედიაში ინფორმაციის გამავრცელებელ პირებს, ნუ გავრცელებენ გადაუმოწმებელ ინფორმაციებს. მსგავსი დეზინფორმაციები მხოლოდ დამატებითი დაძაბულობის შემტანია საზოგადოებაში მაშინ, როცა ამის არავითარი საფუძველი არ არსებობს. საზოგადოების ინტერესი არ უნდა ვახდეს უსაფუძვლო პანიკისა და ამ ფორმით ყურადღების მიქცევის საშუალება, რადგან ეს ზარალებს საზოგადოებასა და მის ინტერესებს“, - ნათქვამია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

## ელექტრონული რეცეპტი

ნათია იხნაიშვილი 27 48 93

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ყველა დაწესებულება და ექიმები 1 მარტიდან ვალდებული იქნება, მეორე ჯგუფისთვის განკუთვნილი ფარმაცევტული პროდუქტი გამოწეროს მხოლოდ ელექტრონულად, ფორმა №3 რეცეპტის საშუალებით. ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ექიმი ასევე ვალდებულია, სტაციონარული დაწესებულებებიდან პაციენტის გაწერისას, მისთვის მედიკამენტური დანიშნულების მიცემის შემთხვევაში, გამოწეროს ელექტრონული რეცეპტი. მითხროვნა გაავრცელდება სტომატოლოგიურ დაწესებულებებზეც. რეცეპტის ქაღალდზე გამოწერის საშუალება, გამონაკლისის სახით, სოფლის ექიმებს ექნებათ.

ცვლილებებიდან გამომდინარე, აფთიაქებს უნდა ვალდებულდებოდნენ, მეორე ჯგუფის მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტი გასცენ მხოლოდ ელექტრონული რეცეპტის საშუალებით, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა. შესაბამისად, ფორმა №3 რეცეპტის ელექტრონული სისტემის საშუალებით წარმოებისთვის აფთიაქს უნდა გააჩნდეს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები.

უფრო ადრე საქართველოს მთავრობის მეთაურმა ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ ელექტრონული რეცეპტების სისტემის დანერგვა ხელს შეუწყობს კონკურენციის გაძლიერებას, და, შესაბამისად, წამლებზე ფასების შემცირებას.

საქართველოს მთავრობა მუშაობს კანონპროექტზე, რომელმაც ქვეყანაში ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული სიტუაცია უნდა გააუმჯობესოს.











